ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 114

ქალაქი ქუთაისი 31 ოქტომბერი 2018 წელი

ქალაქ ქუთაისში, ჟ.შარტავას ქუჩის №2-ში მდებარე, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ვესტ პოინტის“ კუთვნილი მიწის ნაკვეთში, სავაჭრო ცენტრის, ღია მოლისა და მოლის მშენებლობისათვის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №59 დადგენილების 22-ე მუხლისა და 23-ე მუხლის მეორე პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე:

მუხლი 1. დამტკიცდეს ქალაქ ქუთაისში, ჟ.შარტავას ქუჩის №2-ში მდებარე, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ვესტ პოინტის“ კუთვნილი მიწის ნაკვეთში, სავაჭრო ცენტრის, ღია მოლისა და მოლის მშენებლობისათვის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება.

(შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ვესტ პოინტის“ კუთვნილი მიწის ნაკვეთში, სავაჭრო ცენტრის, ღია მოლისა და მოლის მშენებლობისათვის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება განკარგულების დედანს თან ერთვის)

მუხლი 2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 3. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე ნიკოლოზ ლატარია